TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

დაიჯესტი

14 - 20 დეკემბერი

2020

ამერიკის შეერთებული შტატები

ნევადას შტატში, ულტრა-მემარჯვენე, ექსტრემისტული მოძრაობა ბუგალუს წევრები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. 36 წლის სტივენ პარშალს, 23 წლის ენდრიუ ლიმანს და 40 წლის უილიამ ლუმისს ბრალად ედებათ Black Lives Matter პროტესტების მიმდინარეობისას ძალადობრივი აქტების ჩადენა და მათი წახალისება. სამივე მათგანს აქვს სამხედრო წარსული.

ბუგალუ ბოის მოძრაობის წევრს, 20 წლიანი პატიმრობა ემუქრება. 22 წლის ბენჯამინ რაიან ტიტერს ბრალად ედება ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასისთვის შეიარაღების მიწოდების მცდელობა. ტიტერმა აღიარა, რომ ბუგალუ ბოის სხვა წარმომადგენელთან ერთად, რომლის წინაშე საქმეა აღძრული იმავე ბრალდებებით, შეხვდა ადამიანს, რომელსაც ისინი ჰამასის წარმომადგენლად მოიაზრებდნენ, სინამდვილეში კი ფედერალური აგენტები აღმოჩნდნენ.

ფედერალურმა პროკურატურამ, 1988 წელს, პან ამ ავიახაზების თვითმფრინავის ტერორისტულ თავდასხმასთან დაკავშირებულ პირს ბრალი წაუყენა. აბუ აჯილა მოჰამად მასუდი, ლიბიელ დიქტატორ მუამარ კადაფისთან მუშაობდა. მასუდს ბრალად ედება იმ ასაფეთქებლის აწყობა, რომელმაც 270 ადამიანი იმსხვერპლა. მასუდი ამჟამად ლიბიელი სამართალდამცავების მიერაა დაკავებული.

ამერიკის შეერთებული შტატების ტერორიზმის სპონსორთა სიიდან სუდანი ოფიციალურად ამოღებულია. პრეზიდენტი ტრამპის ადმინისტრაციამ ორშაბათს ქვეყანა ოფიციალურად ამოიღო სიიდან. ამ ქმედებით დასრულდა ქვეყნის თითქმის 30-წლიანი იზოლაცია. ეს ბევრ ახალ განვითარების შესაძლებლობას მოუტანს სუდანს.

კენიის მოქალაქე, 30 წლის ჩოლო აბდი აბდულა ნიუ იორკში ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვისთვის დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის

ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის წევრია და 9/11 სტილის ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვაში იღებდა მონაწილეობას. აბდულა 2019 წელს ფილიპინებში დააკავეს და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლახანს გადმოიყვანეს, სადაც 6 მუხლით ედება ბრალი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კატარის ეროვნულ ბანკს ტერორიზმის დაფინანსებაში ედება ბრალი. საქმე ეხება 2015-2016 წლებში, პალესტინის ისლამური ჯიჰადისა და ჰამასის დაფინანსებას. ბრალდების განცხადებით კატარის ქველმოქმედებამ, მასრაფ ალ რაყან ბანკმა და კატარის ეროვნულმა ბანკმა ტერორისტულ ორგანიზაციებს გაუმარტივეს ფინანსური საქმიანობა, რითიც ხელი შეუწყვეს აქტივობაში.

ულტრა-მემარჯვენე დაჯგუფების, ფრაუდ ბოისის წევრებმა ვაშინგტონში Black Lives Matter დროშა დაწვეს თეთრი სუპრემაცისტული შეძახილების ფონზე. ვაშინგტონში აქცია იმართებოდა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად. სწორედ აქ იყვნენ ფრაუდ ბოისის წევრები. გავრცელდა კადრები, სადაც მათ ტყვიაგაუმტარი ჟილეტები აცვიათ და დროშას წვავენ, ფონზე ოვაციები და შეურაცხმყოფელი შეძახილები ისმის.

ავსტრალია

ბრისბანში ხანშესული წყვილი საკუთარ სახლში მოკლეს. ქვინსლენდის პოლიცია მომხდარს ტერორისტული ინციდნეტის კვალიფიკაციით იძიებს. ბრალდებული, 22 წლის რაგე აბდი პოლიციასთან დაპირისპირებისას დაიჭრა და მოკვდა. პოლიციის განცხადებით, აბდი წყვილს ცივი იარაღით ემუქრებოდა, სროლის წინ კი მან იყვირა „ალაჰუ აქბარ“. აბდი კონტრ-ტერორისტულმა პოლიციამ 2019 წელს დააკავა, როდესაც სომალის მიმართულებით გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ მტკიცებულებების უქონლობის გამო გაათავისუფლეს.

დიდი ბრიტანეთი

სამხრეთ დებირშაირში, 15 წლის ახალგაზრდა დააკავეს. მას ბრალად ედება ტერორისტული პუბლიკაციების გავრცელება და ისეთი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ტერორისტული აქტის განსახორციელებლად შეიძლება იქნას გამოყენებული. ის მანამდე, სექტემბერშიც დააკავეს. ამავე გამოძიების ფარგლებში დაკავებულია 16 წლის ახალგაზრდა სამხრეთ ლონდონიდან.

22 წლის ბენჟამინ ჰანამი, მეტროპოლიტენის პოლიციის ოფიცერი ტერორიზმთან კავშირის ბრალდებით დააკავეს. სასამართლოზე, მან უარყო ნეო-ნაცისტური ორგანიზაციის, ეროვნული მოქმედება, წევრობის ბრალდება. ეროვნული მოქმედება (National Action) ბრიტანეთში 2017 წელს აიკრძალა.

გამოცემა Politico-ის განცხადებით, თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ სამხედრო კორპუსის ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების საკითხი იქნა წამოჭრილი. გაკეთებული განცხადების მიხედვით, გაერთიანებულმა სამეფომ მოცემულ საკითხში ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა მიბაძოს, რაც ხსენებული სამხედრო კორპუსის დაუყოვნებლივ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას გულისხმობს.

ყოფილი სამხედრო, მეთიუ კონროი, სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის სახიფათო ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვისათვის სასამართლომ დამნაშავედ სცნო და პატიმრობა შეუფარდა. ბრალდებულმა ასევე აღიარა ძალადობრივი პორნოგრაფიული კონტენტის შენახვა მის საკუთრებაში არსებულ მობილურ ტელეფონზე.

გამოცემა Standard-ის განცხადებით, კონტრ-ტერორისტული პოლიცია ლონდონის

საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების პატრულირებას მოახდენს. გადადგმული ნაბიჯი მიმართულია პოტენციურ ტერორისტთა გადაადგილების შეზღუდვისაკენ.

აშშ-ში 21 წლიანი პატიმრობის შემდეგ, ადელ აბდულ ბარი ბრიტანეთში დაბრუნდა. 1998 წელს ის იყო ალ კაიდას პუბლიცისტი ევროპაში. ბარი 1999 წელს ბრიტანეთში, ტერორისტული თავდასხმების თანა-ორგანიზატორობის ბრალდებით დააკავეს. 2012-ში მოხდა მისი აშშ-ში ექსტრადიცია. მან აღიარა ორი ტერორისტული აფეთქების დაგაგმვაში მონაწილეობა. ბარი ახლა 60 წლისაა, ადვოკატის განცხადებით მას წყნარი ცხოვრება სურს.

ქალს პლიმუთიდან ტერორიზმის წამახალისებელი პუბლიკაციების გაზიარებისთვის პატიმრობა მიესაჯა. 41 წლის ჰადიჟა ბენბუხემის 3 წლით აღეკვეთა თავისუფლება. ქალი პირველად 2019 წელს დააკავეს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონში 32 წლის მამაკაცი დააკავეს. მამაკაცს ბრალი ედება ისეთი მასალებისა და დოკუმენტაციის ფლობა, რომელიც ტერორისტული თავდასხმებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

საფრანგეთი

საფრანგეთის პოლიციამ 5 რადიკალური მემარცხენე აქტივისტი დააკავა ტერორისტულ კრიმინალთან კავშირის ბრალდებით, 2 პირი კი თავდებით თავისუფლებაზეა. გავრცელებული ინფორმაციით ისინი გეგმავდნენ ტერორისტულ თავდასხმას, დაკავებისას პოლიციამ ადგილზე ამოიღო შეიარაღება.

საფრანგეთის სასამართლომ შარლი ებდოს საქმესთან დაკავშირებული პირები დამნაშავედ სცნო. სასამართლო სხდომები ბოლო პერიოდში მომხდარი ტერორისტული თავდასხმების ფონზე განახლდა. პატიმრობა 14 ადამიანს მიესაჯა.

2015 წელს თალისის მატარებელში ტერორისტულ სროლაში ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ელ ხაზანი 2015 წელს თალისის მატარებლის მგზავრებს დაესხა თავს, თავდასხმის შეჩერება ორმა აშშ-ს სამხედრომ მოახერხა, რომლებიც მატარებელში შემთხვევით აღმოჩნდნენ. ხაზანისთან ერთად პატიმრობა მიუსაჯეს თანამონაწილეებს. გამოიკვეთა აბდელჰამიდ აბაუდის კვალიც, რომელიც 2015 წლის პარიზის თავდასხმების უკანაც დგას.

გერმანია

გერმანია ექსტრემისტულ ქსელს იძიებს, რომელიც მის სამეზობლოში მოქმედებს. ოფიციალური განცხადებით გერმანია ავსტრიასთან ერთად ამ საქმეზე ოქტომბრიდან მუშაობს. ავსტრიაში ჩატარებული რეიდების შედეგად ამოღებულია 70 ავტომატური და ნახევრად-ავტომატური იარაღი, ასაფეთქებელი საშუალებები და 100 000-მდე საჭურველი. დაკავებულია 5 ადამიანი, მათ შორის მთავარი ეჭვმიტანილი. კავშირში მყოფი 2 ადამიანი დააკავეს გერმანიაში.

ავსტრია

ნოემბრის დასაწყისში ვენაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმიდან 1 თვის შემდეგ ავსტრიის მთავრობამ ანტი-ტერორისტული პოლიტიკის პაკეტი წარადგინა. შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით ექსტრემისტული რელიგიური საქმიანობა ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსში იქნება შეტანილი. კანონპროექტის მიხედვით „პირებს, რომლებიც უწყვეტად ეცდებიან სახელმწიფოს კანონის უზენაესობის პრინციპის რელიგიურ-სოციალური და პოლიტიკური

ელემენტებით შეცვლას,“ 2 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ავსტრიის სოციალური ინტეგრაციის მინისტრის, სუზან რააბის, განცხადებით არსებული დოკუმენტის მიზანს პოლიტიკურ ისლამთან ბრძოლა წარმოადგენს.

პორტუგალია

ლისაბონში, პორტუგალიის 2 მოქალაქეს პატიმრობა მიესაჯა ისლამისტური რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერისთვის. კასიმო ტურეს და რომულო კოსტას 9 და 8.5 წლით აღეკვეთათ თავისუფლება.

ევროკავშირი

ევროკავშირის განცხადებით სოციალურ მედიაში გავრცელებული ტერორიზმთან დაკავშირებული პოსტები 1 საათის განმავლობაში უნდა წაიშალოს. კომპანიებმა, როგორიცაა Facebook, Youtube ერთი საათის განმავლობაში უნდა აღმოაჩინონ და აიღონ საკუთარი პლატფორმებიდან ტერორიზმის წამახალისებელი შინაარსის მქონე პუბლიკაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ელით ფულადი ჯარიმები.

სირია

სირიაში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის მიერ განხორციელებულმა თავდასხმებმა იკლო. ნოემბრის თვეში, ბოლო 18 თვის განმავლობაში ყველაზე ცოტა თავდასხმა აღინიშნა. როჯავას საინფორმაციო ცენტრის (RJC) ინფორმაციით თავდასხმებმა ამ წლის განმავლობაში 80% - თ იკლო.

ავღანეთი

ქაბულში გუბერნატორზე თავდასხმა განხორციელდა. მაჰბულა მოჰები და მისი მდივანი მანქანაში დამონტაჟებულმა ჭურვმა იმსხვერპლა. ჯერ-ჯერობით თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არ აუღია არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას.

ბოლო კვირების განმავლობაში პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და აქტივისტები თავდასხმების სამიზნად იქცნენ.

საინფორმაციო გამოცემა Reuters ინფორმაციით ავღანეთის მთავრობასა და თალიბანს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები იანვრის თვეში გაგრძელდება. მოლაპარაკებები სექტემბრის თვეში, კატარში დაიწყო. ბოლო ინფორმაციით მხარეები ამ დროისთვის მოლაპარაკებების წარმოების წესებზე შეთანხმდნენ.

ყანდაჰარის ბასტიონში ავღანეთის ძალებისა და ტერორისტული ორგანიზაცია თალიბანის მებრძოლებს შორის ძალადობრივი დაპირისპირება მოხდა. თალიბანის მებრძოლები თავს დაესხნენ ავღანეთის შეიარაღებული ძალების საგუშაგოებს. თავდაცვის ძალებმა 51 ტერორისტის ლიკვიდაცია მოახდინეს, დაშავდა 9. ყანდაჰარის პროვინცია ისლამური მოძრაობის ერთგვარი სამშობლოა. ბოლო პერიოდში იქ ტერორისტულმა თავდასხმებმა იმატა.

ირანი

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, რეზა ნაჯაფიმ აზიის ქვეყნების ურთიერთობისა და თავდაჯერებულობის გაზრდის კონფერენციას (CICA) მიმართა. მან თქვა, რომ ირანი დგას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ეკონომიკური ტერორიზმის პრობლემის წინაშე და სთხოვა კონფერენციის წევრ ქვეყნებს ამის წინაშე ბრძოლაში დახმარება.

საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით საწვავის გადამზიდ გემზე თავდასხმა განხორციელდა. თავდასხმას მცირე ხანძარი მოჰყვა, მაგრამ დაშავებულები

არ არიან. გემი სინგაპურის დროშის ქვეშ ცურავდა, თავდასხმა კი ჯედას ტერმინალთან მოხდა.

ლიბანი

ლიბანელ პოპ-მომღერალს 22 წლით პატიმრობა მიესაჯა ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებით. გავრცელებული ინფორმაციით ფადელ ჩაკერი სამხედრო დაჯგუფება ალ ასირს აფინანსებდა, ჩართული იყო ტერორისტულ აქტივობებში და ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებაში.

სომალი

სპეცრაზმმა, ქვემო შაბელის რეგიონში, ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის მებრძოლების ლიკვიდირება მოახდინა. ლიკვიდირებულია 17 მებრძოლი, მათ შორის 2 უცხოელი. გავრცელებული ინფორმაციით სამხედროებმა ჯგუფის კუთვნილი ბაზაც გაანადგურეს, საბლაბლის უბანში.

ინტერნეტ-სივრცეში ვრცელდება ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის ბაზის აფეთქების ვიდეორგოლი. ვიდეორგოლი იმის ნიშნად გავრცელდა, რომ აშშ არ დაიხევს უკან ალ-შაბაბის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუხედავად შემცირებული ჯარისა. აშშ-ს საჰაერო ძალების წარმომადგენლის, კროსტოფერ კარნსის განცხადებით, მაშინაც კი, როდესაც ძალების პოზიციონირება იცვლება, AFRICOM, აშშ-ს მისია აფრიკაში გააგრძელებს ოპერაციებსა და მხარდაჭერას სომალისა და დასავლეთ აფრიკის რეგიონში.

ნიგერია

ნიგერიის ჩრდილო-დასავლეთ შტატში, კიტსუნაში სკოლიდან 300-ზე მეტი მოსწავლე ბიჭი გაიტაცეს. მომხდარი თავდაპირველად „ბანდიტების“ ნამოქმედარად შეაფასეს,

მაგრამ საბოლოოდ პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია ბოკო ჰარამმა აიღო. ბოკო ჰარამს მსგავსი რამ 2014 წელს ჩიბოკშიც ჩაუდენია. უოლ სტრიტ ჟურნალის ინფორმაციით გატაცებული მოსწავლეები, 6 დღის შემდეგ ბოკო ჰარამმა გამოუშვა.

უგანდა

უგანდის მთავრობა 2 არასამთავრობო ორგანიზაციას ტერორიზმის დაფინანსებაში სდებს ბრალს. ეს ორგანიზაციებია უგანდის ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი და უგანდის ქალთა ქსელი. ბრალდება ეფუძნება თვეობით განხორციელებულ შპიონაჟს.

იემენი

იემენის მოქალაქეები ჰუსიტების დაჯგუფების თავდასხმებისგან დაცვას ითხოვენ. ჰუსიტები ირანის მიერ მხარდაჭერილი ტერორისტული დაჯგუფებაა. იემენში არსებულმა 12-მა უფლებებისთვის მებრძოლმა ჯგუფმა, სამედიცინო მომსახურეებმა და ოფიციალურმა პირებმა მოუქმეს საერთაშორისო საზოგადოებას ჰუსიტების თავდასხმებისგან მოქალაქეების დაცვისკენ.

პაკისტანი

პაკისტანის კონტრ-ტერორისტულმა პოლიციამ 3 პირი დააკავა. სამივე პირი დაკავშირებულია მომხდარ ტერორისტულ აფეთქებებთან. ისინი კონტრ-ტერორისტული ოპერაციის ფარგლებში დააკავეს გარისონ სითიში, სამხედრო სამალავის რეიდისას. პოლიციის ინფორმაციით ისინი გეგმავდნენ თავდასხმას ისლამაბადის საფონდო ბირჟაზე. გავრცელებული ინფორმაციით დაკავებულებს წარსულში კავშირი ჰქონდათ თალიბანთან.

ისლამაბადში ტერორისტული ორგანიზაცია თალიბანის დელეგაცია იკრიბება. თალიბანის დელეგაციას დაჯგუფების მეთაური, მულა აბდულგანი ბარადარი გაუძღვება. ისინი ისლამაბადში 3 დღეს დაჰყოფენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ტოპ-გენერალი შეხვდა ტერორისტული ორგანიზაცია თალიბანის წარმომადგენლებს. გენერალი მარკ მილი ავღანეთის პრეზიდენტსაც შეხვდა, ქაბულში. შეხვედრები ძალადობის შემცირებისკენ მოწოდებებს ემსახურებოდა.

ინდონეზია

ინდონეზიის პოლიციამ დააკავა არის სუმარსონო, ასევე ცნობილი როგორც ზულკარნაენი. გავრცელებული ინფორმაციით იგი დგას მრავალი ტერორისტული თავდასხმის უკან. ეროვნული პოლიციის სპიკერმა განაცხადა, რომ ის ტერორისტული ორგანიზაცია, ჯემააჰ ისლამიას სამხედრო მეთაურია და პოლიციის ძებნილთა სიაში უკვე 18 წელია იმყოფება. 2005 წლიდან ზულკარნაენი გაეროს მიერ ალ კაიდას წინააღმდეგ დაწესებული სანქციების სიაშია ოსამა ბინ ლადენთან ან თალიბანთან ასოცირებისთვის.

თურქეთი

თურქეთში, ექს-მერს როჯდა ნაზლიერს 9 წელი პატიმრობა მიესაჯა შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის. ნაზლიერი ოპოზიციური პარტიის, ხალხთა დემოკრატიული პარტიის (HDP) წევრია. მას ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (PKK) თანამშრომლობა ედება ბრალად. ამასთანავე, PKK-სთან კავშირში ხალხთა დემოკრატიულ პარტიასაც (HDP) სდებენ ბრალს.

მალი

მალიში აფეთქებამ ერთი სამხედრო შეიწირა, დაჭრილია 5. მალი ისლამისტურ თავდასხმებს ებრძვის, რომელიც ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო, მაგრამ ახლა მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. ალ კაიდასა და დაეშთან დაკავშირებული ჯგუფები ხშირად ესხმიან თავს სამხედრო ბაზებს, შესაბამისად ვარაუდობენ რომ ეს თავდასხმაც მათთანაა კავშირში.

მოზამბიკი

ჩრდილოეთ მოზამბიკში, პემბას პორტი ათასობით ლტოლვილს იფარებს. ბოლო თვეების განმავლობაში ალ-შაბაბის შიშის გამო ადამიანებს საკუთარი სახლების დატოვება უხდებათ. ტერორისტულმა დაჯგუფებამ, რომელმაც ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშს ერთგულება შეჰფიცა მოზამბიკის სანაპირო ზონები დაიკავა და კაპო დელგადოს სხვა ნაწილების დაკავებასაც ცდილობს. პემბას პორტი ლტოლვილთა ახალ თავშესაფრად იქცა, სადაც იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 130 000-ზე მეტია.